ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №421831

ნომერი: AR190273

თარიღი : 05.11.2012

გაცემის თარიღი : 07.11.2012

გაცნობის თარიღი : 15.11.2012

შედეგი : უარყოფა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა ფალიაშვილი , N 87 ; ქალაქი თბილისი , ქუჩა ფალიაშვილი , N 87 ;

დამკვეთი-განმცხადებელი
- ზურაბ ნეფარიძე პ/ნ 01011013483
- თბილისი ბ.ხმელნიცკის ქ. N 44ა კორ. 4 ბ. 50

ორგანიზაცია:
- შპს ლაბეი დეველოპმენტი კოდი: 406048012

ნომენკლატურა :

- მიწის ნაკვეთის საზღვრების მომზადება
- მიწის ნაკვეთის საზღვრების კორექტირება (გარდა მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების მიწის ნაკვეთების საზღვრებისა)

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" 63–ე მუხლის, სივრცითი მოწყობისა და ქალაქთმშენებლობის საფუძვლების შესახებ საქართველოს კანონის და ქალაქ თბილისის მერის 2009 წლის 9 მარტის #194 განკარგულების თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მერიის სსიპ – თბილისის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენი განცხადება რომლითაც ითხოვთ დამატებითი ტერიტორიის (მიწის ნაკვეთის) შესყიდვას, აღნიშნულთან დაკავშრებით განგიმარტავთ, რომ ,ქალაქ თბილისის მთავრობის 2008 წლის 22 დეკემბრის №24.16.832 დადგენილებით დამტკიცებული ქ. თბილისის მერიის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურის წესდების (დებულების) მე-6 მუხლის თანახმად, სამსახურის სტრუქტურული ერთეულია მიწის ნაკვეთის საზღვრების მომზადებისა და საინვესტიციო განყოფილება. ამავე დებულების მე-7 მუხლის პირველი პუნქტის ,,დ“ ქვეპუნქტის თანახმად, ზემოაღნიშნული განყოფილების ერთ-ერთი უფლებამოსილებაა ,,ქალაქთმშენებლობითი პარამეტრების დადგენა, მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების, სახელმწიფო საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთებისა და განსაკუთრებულ შემთხვევებში, ქ. თბილისის მთავრობის დავალების საფუძველზე, ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთების საზღვრების დადგენა, აგრეთვე, საჭიროების შემთხვევაში, ქალაქგეგმარებითი მოწესრიგების მიზნით, მიწის ნაკვეთების საზღვრების კორექტირება“.

ზემოაღნიშნული ნორმის შინაარსიდან გამომდინარე, ცალსახად ჩანს, რომ სამსახურის კომპეტენციაში არ შედის და მის უფლებამოსილებას სცილდება ტერიტორიების გასხვისება–გაყიდვა, შესაბამისად არქიტექტურის სამსახური მოკლებულია შესაძლებლობას დააკმაყოფილოს თქვენი მოთხოვნა. აღნიშნულის განხორციელების მიზნით საჭიროა მიმართოთ ქ. თბილისის მერიის ს.ს.ი.პ – ქონების მართვის სააგენტოს.

• გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მერიაში (მისამართი - ქალაქი თბილისი, ჟ. შარტავას ქ. #7), დაინტერესებულ მხარეთათვის ოფიციალური წესით გაცნობიდან ან გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში.

თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი
" თბილისის არქიტექტურის სამსახური"
საქართველო, თბილისი 0160 ჟ. შარტავას 7

ტელ. (+995 32) 272 22 22
ფაქს. (+995 32) 237 82 24
info@tas.ge
უფრო მეტი - tas.ge